


საქართველოს კომუნისტური პარტია

კომუნისტი



შანი 10 მან.

ფილა უნდა შეისვას

ძველი ცხოვრება რომ სავსებით მოიშალა, დღეს ეს ოდნავ მოტივინე ბავშვებზეც კი იცის. მაგრამ თვით დღით გახსნაწილი პირნიც ვერ იგნებენ და ვერ ითვისებენ იმ აზრს, რომ ამ ცხოვრების აღდგენის საქმეში ორი ერთი-მეორის უარყოფი ტენდენცია გერძვის ერთმანეთს. ერთი ტენდენცია ძველი ცხოვრების აღდგენისა, მისი ბატონყმური წესებით, მეორე ტენდენცია ახალი ცხოვრების დამყარების სრული თავისუფლების ნიადაგზე. პირველს ემსახურება ანტიკომუნისტური ბურჟუაზია, მეორეს სოციალისტური პროლეტარიატი საბჭოთა რუსეთის მეთაურობით.

სამ წელზე მეტია, რაც საბჭოთა რუსეთი ძალღონეს არ ზოგავს ამ ტენდენციის გასამტკიცებლად და ცხოვრების სინამდვილეთ მის გადაქცევას. აუარებელი მსხვერპლი გაიღო მან ამ ხნის განმავლობაში, აუწერიელი გაჭირვება გადაიტანა მან სახელოვან ბრძოლაში და სწორედ ეს ფაქტი მკვერტ მეტყველებს დალადებს თვით მისი ტენდენციის მთელი ცხოველყოფილობას. ბურჟუაზია თანდათან ირღვევა და იხრწება, პროლეტარიატი თანდათან მჭიდროვდება აღიარდება და აშკარა ხდება, რომ ბურჟუაზიულ ტენდენციას პროლეტარული ტენდენცია სჭარბობს და სძლევა.

ამ ტენდენციის მოფუჭობით ჩვენ ქართველ მშრომელ ხალხს. მაგრამ აქ წინ აღვიდგებიან ამ ხალხის ძალათ მაცხოვრებელი და სხვა მრავალ „საბუთო“ შორი მიგვიტოვებენ იმაზე, რომ საბჭოთა რუსეთში სიმშვილი, სიცივე, წარმოების დანგრევა და სხვა საშინელებანი. ეს „საბუთი“ მათთვის ხაჭაპურისა, რომ ქართველ ხალხს ერთადერთ კეშმარტ პროლეტარულ ტენდენციასე სამუდამოთ ხელი აღებინონ.

ეს საბუთი წმინდა წყლის დემაგოგიური ფანდია. სიმშვილი, სიცივე და სხვა გაჭირვება მეტათ დამარწმუნებელი ფაქტია, მარა სად არ არის ეს გაჭირვება, რომელი ქვეყანა, რომ მას აცდენილი იყოს? აშკარაა ეს მოვლენანი სულაც არ ყოფილა საბჭოთა რუსეთის თანდაყოლილი თვისებები და ისინი ერთნა-

რი უღმბლობით ედებინ ყველა ქვეყნებს, და სხვათა შორის საქართველოსაც. წარმოსადგენათაც კი ძნელია, რა საშინელება იქნებოდა ანტიკომუნისტური ომიდან განადგურებულ რუსეთში, რომ მას სათავეში არ უდგეს მშრომელი ხალხი, რომელიც დიდი მხარუნველობით იფარავს გადარჩენილ სიმდიდრეს და უდიდესი აღფრთოვანებით ქმნის ახალს?

მაგრამ არის დიდი განსხვავება ამ საერთო გაჭირვების დროს სხვა და სხვა ქვეყნებს შორის. იქ, სადაც ისევ ბურჟუაზია უდგას ქვეყანას სათავეში, ამ გაჭირვებიდან არავითარი გამოსავალი არა სჩანს და იგი აშკარათ მიეჭანება უსუსკრულსაკენ. საბჭოთა რუსეთში კი ეს გამოსავალი ცხადზე უცხადესათ სჩანს. არა მარტო იქაურ მშრომელ ხალხისათვის, არამედ მთელი ქვეყნის პროლეტარიატისათვის. დამხობა ბურჟუაზიის, დათრგუნვა ყველა მუქთახორულ ელემენტების და საერთო შრომით ახალი თავისუფალი ცხოვრების შენება—აი ეს გამოსავალი.

რა თქმა უნდა, დიდ ტანჯვას და შრომას მოითხოვს ამ მიზნის მიღწევა, მაგრამ სხვა გზა არ არის. და როდესაც ქართველ მუშებს აშინებენ საბჭოთა რუსეთის საშინელ სურათებით, ჩვენ ვამბობთ: საბჭოთა რუსეთი მოწინავე რაზმი მთელი მებრძოლა პროლეტარიატისა და სწორედ ამიტომ მას წილათ ხვდა არა ჩვეულებრივად დიდი ფაილა შეესვა იმ ტანჯვა-გაჭირვებისა, რომელიც საბოლოოთ უნდა გადაიტანოს მთელი ქვეყნის პროლეტარიატმა, მაგრამ ამ კლასის ყოველ ცალკე რაზმს წინ უდგეს თავ-თავისი ფაილა, რომელიც მან აღწერ თუ გვიან უნდა შესვას მთელს საკეთილდღეოთ, მან უნდა შეგნებულათ გადაიტანოს თავისი ხვედრი გაჭირვება და ჩაება იმ დიადი საქმის შენებაში, რომელიც მთელი პროლეტარიატის ისტორიამ დააყენა.

ყოყმანი და დაგვიანება ვერ იხსნის მას ისტორიის დაქისრებულ მოვალეობიდან. ფაილა უნდა შეისვას, რაც გინდ მწარე იყოს იგი.

საშუალებაა შრომის ნაყოფიერების გასაღებლად და მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ერთი სიტყვით, მუშებმა მეტი უნდა იმუშაონ, მეტი საქონელი უნდა დაამზადონ და ამ მეტი დამზადებულიდან მათაც შეხვედრათ ცოტა რა, რაცაც ცოტათ მანაც გააუმჯობესებს მათ მდგომარეობას. მაგრამ საკითხავიც ის არის, თუ როგორ უნდა დახარჯონ მუშებმა იმაზე მეტი ენერჯია, რაც მათ აღარ მოეპოვებათ, რა წყაროდან უნდა წამოიშვას ეს ენერჯია, როცა იგი სისტემური აუნაზღაურებლობის გამო, ყოველ დღე იფიტება და იღვეა, ერთობას? ჰგონია, რომ „ჩვენს პირობებში“ პრემიალური სისტემა და ნარდათ მუშაობა უზღველს საქმეს. ტყუილი იმედია. სწორედ „ჩვენს პირობებში“ არაფრის მაქნისია ეს ზომები, რადგან მუშა ჰხედავს, რომ ნარდათ თუ დღითი მუშაობით ის არჩენს მთელ რიგ მუქთა-ხორებს და ამის გამო მას ყოველივე ხალხის ეკარგება ზედ-მეტი მუშაობისა. მუშა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ყოველი მისი ჩაქუჩის დარტყმა, ყოველი მისი დახარჯული ენერჯია მისი და მისი კლასის სასარგებლოთ მიდის მხოლოდ და მხოლოდ მოიპოვებს ის სასწაულებრივ თვლებს ზედმეტი ძალის დახარჯვისა. ეს კი მოითხოვს, რომ მთელი წარმოების, მთელი ფაბრიკა ზავილების და მსუის ბატონ პატრონათ მუშათა კლასი და მისი სახელმწიფო იყოს აღიარებული. ამას, რასაკვირვებელია, ფიქრათაც ვერ გავლებს „ერთობა“ და ის ვერც იპოვის ვერავითარ გამოსავალს.

„მარა ეს დღესვე, ამ წამს ნაყოფს არ გამოიღებს. მუშებს კი შიათ და სცივათ. საქიროა დაუყოვნებლივ მიეცეთ მათ რეალური დახმარება, მარა არა ფულით, არამედ ნატურით—საქონლით. მთავრობამ ასეთი დადგენილება უკვე გამოიტანა. გადაწყვეტილია პურის რაციონის გადიდება, შაქრისა და ჩაის შეძენა და დარიცხვა და ზოგიერთი სხვა პირველ საქორების საგნების მიწოდება.“

კარგია ყველა ეს დაპირება, მაგრამ ის იმითაა ცული, რომ მხოლოდ დაპირებას წარმოადგენს და მეტს არაფერს. გაზაფხულის იონჯის მოლოდინში ცნობილი პირუტყვიც ვერ მოიტყუებს თავს.

ბოროტების მოტრფილანი

„ერთობის“ თანამშრომელს ვერ მოუწოდებია, რომ საბჭოთა რუსეთის მისიაში ქართველებიც მსახურებენ, რომლებიც თურმე ქუჩაშიაც დადიან და... ჰოი საშინელებავ! წითელ ქულებსაც ატარებენ:

„ამ ბოლო დროს თბილისში ძლიერ გამოავლენ წითელ ქუდიანები. საბჭოთა მისიის მოსამსახურეთა ჯარდა ამ ფორმას ატარებენ აგრეთვე ჩვენი მოქალაქენი, ქართველი ბალშევიკები.“

„ვინ არიან ისინი?—კითხულობს „ერთობა“—„მოქალაქენი თუ მოლატენი. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ასეთი საქციელისათვის ხვერტენ. ჩვენში რატომ ციხეში მიიწვ არა ვხედავთ ამ კლოუნებს?—ამ მართალ და კლოუნის დასამშვიდებლათ ჩვენ უნდა ვურჩიოთ საბჭოთა მისიაში მოსამსახურე ქართველ კომუნისტებს, რომ მათ გამოითხოვონ შესაფერის ნებათა და წითელი ქულების ნაცვლათ ქართული მოხმები ატარონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ ცოტა,—ციხეში ჩაქეტვა არ ასცდება მათ.“

ამნაირათ შემუშავდა ვერც წოდებული „სახელმწიფოებრივი მონაპოლიური კაპიტალიზმი“.

ამ სახით სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია კიდევ უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი გახდა: თვით კაპიტალისტურ ინდივიდუალისტურ საზოგადოებაში მიდრეკილება—სახელმწიფო გადაწყვეტ ძალათ, ყველაფრის შემოქმედით გადაიქცა. ეს იყო მსოფლიო ომის პროგრესული შედეგი.

მაგრამ კაპიტალისტურ-ინდივიდუალისტურ საზოგადოებაში ყოველთვის სჭარბობდა და სჭარბობს ინდივიდუალისტური მიდრეკილება და აი, ამ ნიადაგზე, მიუხედავად ეკონომიკის გასახელმწიფოებრივობისა, გაჩნდა—გაღვივდა, გაიფურჩქნა ბურჟუაზიული საზოგადოების მომაკვინებელ-დამშლელი ეკონომიურ-კომერციული სახის მოღვაწეობა-საქმიანობა, ე. ი. საკუთლიაცია.

კაპიტალიზმის სული და გული მოგებაა და როცა ამ მისწრაფებამ ბუნებრივი წყარო საქონლის წარმოებაში ვერ იპოვა ომის დროს, მან მიიღო არა ბუნებრივი, არა ნორმალური სახე უკვე წინათ დამზადებულ საქონლის აღმშენებლის, განაწილების დარგში და ამნაირათ მთელი ქვეყანა გასაკუთლიანტდა. წინათ თუ აღმამიანის მიერ აღამიანების, ხოლო ერთი რომელიმე ერის მიერ სხვა ერების ყვლევა შრომის ყვლევის სახით ხდებოდა, ახლა ეს ყველაფე და ისიც საშინელად გაავრცელდა თვით აღამიანის და ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობის ნიადაგზე საკუთლიაციის სახით გადაიშალა. წინათ ყველაფელი მოგებას ზედმეტი მუშაობით შექმნილი ზედმეტ ღირებულებაში ჰპოვებდა, ხოლო ომის დროს და დღეს იგი წინათ ნამუშევარის, უკვე წინანდელი შრომით ქმნილი ღირებულების მითვისება-დაცავებაში პოულობს. ეს არის ომის უსაშინელესი და თან უსაზიზღრესი შედეგი. ეს არის საკუთლიაციის სულით მთელი ბურჟუაზიული საზოგადოების გაუდნთა, და რა გასაკვირვებელია, თუ დღევანდელი ბურჟუაზიული ეკონომიური პოლიტიკა, თმეცა გასახელმწიფოებრიული, ვერაფერს აწყობს და ვერას ახერხებს უკვე გათავებდებულ და ადვირ აწკვეთლ საკუთლიაციისთან ბრძოლაში. ეკონომიკის მთავარი ძარღვი საწარმოო ძალაა და თუ ეს ძალა არ ვითარდება, ან დაშლილ-დარღვეულია, ცხადია მთელი სისტემაც დაირღვევა. ომმა მართლაც სულ ერთიანათ არივ-დარია და ძალზე შეასუსტა-შეამცირა სამუშაო ძალა, ეს მთავარი ნაწილი საწარმოო ძალებისა: სულ ცოტა რომ ვთქვათ 30 მილიონამდე კაცი მოსწყვეტა მან შრომის ფორნტს; ამასთან ომმა წარმოების მთელი დარგები თითქმის სულ ერთიანათ მოსპო მით, რომ საწარმოო ძალები სამხედრო-საომარ მასალის საწარმოო დარგებში დაბანდა. ამნაირათ ძალზე შემცირდა როგორც სამუშაო ძალა, ისე აქედან გამომდინარე საქირო საგნების რიცხვი; აუცილებელ მოთხოვნილებათ დამაყყოფილებელი საქონელი ბაზარზე აღარ გამოჩნდა; გაჩნდა საშინელი სიმღვირე, დაეცა ფულის ფასი და ცხოვრების ეკონომიური მხარე ერთიანათ აირ-დაირია, აიფუშა. რუსებმა ამას ეკონომიური „რაზრუბა“ უწოდეს, ხოლო განსწავლულ ეკონომისტებმა „ეკონომიური წინასწარობის დაკარგვა“.

საქონლის და ფულის წარმატებამ წარსულში შრომა უკიდურესათ დაანაწილა არა მარტო ტენიკურათ ერთ სახელოსნოში, არა მარტო საზოგადოებრივათ სხვა და სხვა დარგებ და პროფესიებ შორის, არამედ სხვა და სხვა ქვეყნებ

აღვივებული პრესა

ქვანიც დალაღვან.

ჩვენი მშრომელი ხალხის მდგომარეობა იმდენათ აუტანელი შეიქმნა, რომ თვით „ერთობაც“ კი, რომელიც მუდამ სამოთხეთ ხატავდა აქაურ ცხოვრებას სხვა კოლოზე ამტყველებულა და დღეს აშკარათ ამბობს, რაც დიდი ხანია ყველასათვის ცნობილი ფაქტი იყო. აი როგორი საღებავებით ხატავს იგი მუშების მდგომარეობას:

„მუშის რეალური ხელფასი დღით-დღე ეცემა, ცხოვრება საშინელი სისწრაფით ძვირდება და დაქირავებული შრომის მდგომარეობა უარესდება. ზამთრის სეზონი ამ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. გარეთ უკვე დიდი სიცივეები დაიქირა, შინ კი მუშა-მოსამსახურეთ არა აქვთ შეშა და ნავთი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, არა აქვთ საკმაოთ ჭურჭი და სხ. მუშათა უბნები დღეს საშინელ ტრაგედის განიცდიან. იქ აღამიანები ნელი შიმშილით კვდებიან სიმშვილ-სიცივისაგან.“

ქეშმარტათ, დღეს ქვანიც კი დალადებენ ჩვენი მუშათა მდგომარეობის ჯოჯოხეთურ პირობებზე!

სად არის ხსნა?

„ერთობა ეძებს გამოსავალ გზას, მარა, როგორც მოსალოდნელია, უარეს ჩინში ემწყვედება. მოვისმინათ მისი მოსაზრებები ამ საკითხზე;

„ცხადია, გამაგრების მომატება მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობას არ აუმჯობესებს. სამაგიეროთ ხანისნადა სახელმწიფოს მდგომარეობას ის მძიმე ლახტს სცემს: ფულის კურსი ეცემა. ეს მოჯადოებული წრე უნდა გაიღვდეს და მუშათა საშინელ გაჭირვებას რაიმე წამალი დაეღვას. სად არის ხსნა? ჩვენი უბედურება იმაშია, რომ ქვეყანა ვერ ქმნის იმდენს, რამდენიც მისი მოთხოვნილებს დასაკმაყოფილებლათ არის საჭირო. ამიტომ შრომის ნაყოფიერების ზრდა და უშრომელთა რიცხვის შემცირება ის საიმედო საშუალებაა, რომელიც ამით მთელი ქვეყანას ფეხზე წამოაყენებს. მთავრობამ დაადგინა და პროფესიონალებმა კავშირებმაც მიიღეს პრემიალური სისტემის შემოღება და ნარდათ მუშაობა. ეს გონიერი გადაწყვეტილება დაჩქარებით უნდა განხორციელდეს, იგი ჩვენს პირობებში ერთ-ერთი რეალური

კიდევ დაპირება, მხოლოდ დაპირება...

„ერთობა“ რასაკვირვებელია ვერ უღალატებს თავის ჩვეულებრივ გზას: ლიტონი სიტყვებით და დაპირებებით მუშათა დაშინებისას. ის სწერს:

პაპისალიზმის აკონომიკა და საბჭოთა რუსეთი

დღეს თითქმის ყველა ნაირი მოაზროვნე ჯგუფებისათვის საანანოა ქეშმარტებით გადაიქცა ის დებულება, რომლისათვისაც ერთ დროს მთელი ქვეყნის ეკონომიური მატერიალისტები, მარქსისტები ისე თავგამოდებით იბრძოდნენ. ეს დებულება გვეუბნება: როგორცაა საზოგადოების ეკონომიკა, ისეთია მთელი მისი სტრუქტურა ავტომატურად. თუ იშლება და ირღვევა ამ საზოგადოების ეკონომიკა, ეს იმას ნიშნავს, რომ თვით ეს საზოგადოება ირღვევა, იშლება, კვდება.

უცილებელია ის ფაქტიც, რომ დღევანდელი კაპობრობის „საზოგადოება“ უარესათ, უმეტესათ კაპიტალისტურია ანუ ბურჟუაზიული. უმეტეს ქვეყნებში უკვე კაპიტალიზმი მეფობს და თუ ზოგიერთ ქვეყნებში ჯერ კიდევ არა თუ მარტო ფეოდალიზმის ნაშთები, არამედ პატრიარქალური და პირველ ყოფილი კომუნისმის ნაშთებიც ბლომით მოიპოვება, ეს მხედველობაში მისაღები არაა: ვინაიდან ამ ნაშთებს საერთოთ საკაცობრიო ცხოვრებისათვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს. ამასთან ეს ნაშთები მთელი საუკუნეების განმავლობაში უცვლელათ რჩებიან თვით უარესათ დაწინაურებულ საზოგადოებაშიაც კი და, თუ ამ ნაშთებს გადაწყვეტი მნიშვნელობა მიეცეთ, მაშინ თვით დაწინაურებულ ევროპის საზოგადოების განვითარება-წარმატების იმედსაც უნდა გამოვეთხოვით. ევროპაში დღესაც კი სამუშაოთ კარგი მოზრდილი ადგალი უჭირავს ევრეთ წოდებულ „კლერკალიზმს“. ეს ისეთივე ბარბაროსობაა ევროპისათვის,

როგორც „ისლამისტური ფანტიზმი“ აზიისათვის.

მშ ჩვენთვის საყურადღებოა დღევანდელი ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიკის მთავარი, ძირითადი სისტემა და არა მისი ძველი სტრუქტურის ეკონომიური-იდეოლოგიური ნაშთები.

აი როცა ამ თვალსაზრისით ვსინჯავთ და ვაკვირდებით დღევანდელ კაპობრიულ საზოგადოებას აუცილებლათ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ის იშლება, ირღვევა და კვდება, ვინაიდან მისი შენობის საძირკველი-ეკონომიკა დარღვეულია და „კატასტროფიულ მდგომარეობას“ განიცდის.

კაპიტალიზმმა ამ საუკუნის დასაწყისში მიიღწია თავის განვითარების უმაღლეს წერტილს და თავისი წინმსვლელობა მან ფინანსური კაპიტალიზმით დაავიჯინა. მან, როგორც ვიცით, გამოიწვია მისთვის და მთელი კაპობრობისათვისაც სახელმწიფო მსოფლიო ომი და აი ამ ომის პროცესში მოხდა კაპიტალიზმის ეკონომიკის ერთი კიდევ მეტათ საყურადღებო ცვლილება: წინათ თუ ეკონომიურ ცხოვრებაში კერძო პირივნილი ინიციატივა ბატონობდა, მასზე იყო მთელი ეკონომიკა დამყარებული, ახლა, ომის დროს საქირო შეიქმნა მეკატათ შეგზულდა ეს კერძო ინიციატივა და წინ წამოიყენებიათ მთელი კლასიური ორგანიზაცია—ამ შემთხვევაში სახელმწიფო, და მისთვის დაეკისრებიათ, მისთვის მიენდოთ ყოველივე ინიციატივა, ცხოვრების ყველა მხარეების, როგორც პოლიტიკურის ისე ეკონომიურის მოწყობა—ხელმძღვანელობა.


ამნაირათ შემუშავდა ვერც წოდებული „სახელმწიფოებრივი მონაპოლიური კაპიტალიზმი“.

ამ სახით სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია კიდევ უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი გახდა: თვით კაპიტალისტურ ინდივიდუალისტურ საზოგადოებაში მიდრეკილება—სახელმწიფო გადაწყვეტ ძალათ, ყველაფრის შემოქმედით გადაიქცა. ეს იყო მსოფლიო ომის პროგრესული შედეგი.

მაგრამ კაპიტალისტურ-ინდივიდუალისტურ საზოგადოებაში ყოველთვის სჭარბობდა და სჭარბობს ინდივიდუალისტური მიდრეკილება და აი, ამ ნიადაგზე, მიუხედავად ეკონომიკის გასახელმწიფოებრივობისა, გაჩნდა—გაღვივდა, გაიფურჩქნა ბურჟუაზიული საზოგადოების მომაკვინებელ-დამშლელი ეკონომიურ-კომერციული სახის მოღვაწეობა-საქმიანობა, ე. ი. საკუთლიაცია.

კაპიტალიზმის სული და გული მოგებაა და როცა ამ მისწრაფებამ ბუნებრივი წყარო საქონლის წარმოებაში ვერ იპოვა ომის დროს, მან მიიღო არა ბუნებრივი, არა ნორმალური სახე უკვე წინათ დამზადებულ საქონლის აღმშენებლის, განაწილების დარგში და ამნაირათ მთელი ქვეყანა გასაკუთლიანტდა. წინათ თუ აღამიანის მიერ აღამიანების, ხოლო ერთი რომელიმე ერის მიერ სხვა ერების ყვლევა შრომის ყვლევის სახით ხდებოდა, ახლა ეს ყველაფე და ისიც საშინელად გაავრცელდა თვით აღამიანის და ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობის ნიადაგზე საკუთლიაციის სახით გადაიშალა. წინათ ყველაფელი მოგებას ზედმეტი მუშაობით შექმნილი ზედმეტ ღირებულებაში ჰპოვებდა, ხოლო ომის დროს და დღეს იგი წინათ ნამუშევარის, უკვე წინანდელი შრომით ქმნილი ღირებულების მითვისება-დაცავებაში პოულობს. ეს არის ომის უსაშინელესი და თან უსაზიზღრესი შედეგი. ეს არის საკუთლიაციის სულით მთელი ბურჟუაზიული საზოგადოების გაუდნთა, და რა გასაკვირვებელია, თუ დღევანდელი ბურჟუაზიული ეკონომიური პოლიტიკა, თმეცა გასახელმწიფოებრიული, ვერაფერს აწყობს და ვერას ახერხებს უკვე გათავებდებულ და ადვირ აწკვეთლ საკუთლიაციისთან ბრძოლაში. ეკონომიკის მთავარი ძარღვი საწარმოო ძალაა და თუ ეს ძალა არ ვითარდება, ან დაშლილ-დარღვეულია, ცხადია მთელი სისტემაც დაირღვევა. ომმა მართლაც სულ ერთიანათ არივ-დარია და ძალზე შეასუსტა-შეამცირა სამუშაო ძალა, ეს მთავარი ნაწილი საწარმოო ძალებისა: სულ ცოტა რომ ვთქვათ 30 მილიონამდე კაცი მოსწყვეტა მან შრომის ფორნტს; ამასთან ომმა წარმოების მთელი დარგები თითქმის სულ ერთიანათ მოსპო მით, რომ საწარმოო ძალები სამხედრო-საომარ მასალის საწარმოო დარგებში დაბანდა. ამნაირათ ძალზე შემცირდა როგორც სამუშაო ძალა, ისე აქედან გამომდინარე საქირო საგნების რიცხვი; აუცილებელ მოთხოვნილებათ დამაყყოფილებელი საქონელი ბაზარზე აღარ გამოჩნდა; გაჩნდა საშინელი სიმღვირე, დაეცა ფულის ფასი და ცხოვრების ეკონომიური მხარე ერთიანათ აირ-დაირია, აიფუშა. რუსებმა ამას ეკონომიური „რაზრუბა“ უწოდეს, ხოლო განსწავლულ ეკონომისტებმა „ეკონომიური წინასწარობის დაკარგვა“.

საქონლის და ფულის წარმატებამ წარსულში შრომა უკიდურესათ დაანაწილა არა მარტო ტენიკურათ ერთ სახელოსნოში, არა მარტო საზოგადოებრივათ სხვა და სხვა დარგებ და პროფესიებ შორის, არამედ სხვა და სხვა ქვეყნებ



და სახელმწიფოებ შორისაც. ერთ ქვეყანაში რომ ქვეანაზირის და ნავთის წარმოება გაიზარდოს, მეორეში მარგანეცის და სავარდენის ლითონების ქარხნებში ამუშავებული, ხოლო მესამეში უმეტესად პური მოჰყავთ. ამნაირად შრომის ასეთი განაწილება ქვეყნებ შორის დაუძლეველ კავშირს ქმნის. ომში კი ეს კავშირი გაწყვეტა და ამით კაპიტალისტური ერთობა ერთი დავკრით დაშალა.

მართალია, ომის შეწყვეტის შემდეგ შეეცადა მყვლეველთა ქვეყანა ამ კავშირის აღდგენას, მარა ომის ნიადაგზე წარმოშობილი რევოლუციები ხელი ააღებდა ბურჟუაზიას ამ სურვილზე და იგი იძულებული გახდა ისეთ ეკონომიურათ მნიშვნელოვან ვრცელი ქვეყნისთვის, როგორც არის რუსეთი, ბლოკადა გამოეცხადებინა და მასთან ეკონომიური კავშირი გაწყვეტა. ამ გარემოებამ კაპიტალისტური წარმოების წესი კიდევ უფრო არაა. ამის უმთავრესი ის იყო, რომ სამრეწველო ქვეყნები ნედლე მასალას მოკლებული შეიქნენ და ამიტომ იძულებული გახდნენ წარმოება კიდევ უფრო შეემცირებინათ; ხოლო მეორე მხრით ის საქონელი, რაც დაზადე-

ბული ჰქონდათ, საწყობებში ჩაეკეტათ და გამოუყენებლად დაეტოვებინათ. ყოველივე ეს ბაზარზე საქონელს კიდევ უფრო ამცირებს და მასთანადე სიძვირეც სულ უფრო და უფრო იზრდება... კრიზისი უმადლეს წერტილს აღწევს.

ერთი მხრით ასეთმა ეკონომიურმა კრიზისმა, ხოლო მეორე მხრით რუსეთში ამტყდარმა, გაძლიერებულმა და გამარჯვებულმა პროლეტარულმა რევოლუციამ მსოფლიო მუშათა კლასში დაბადა კაპიტალიზმისადმი სრული უნდობლობა, ხოლო მომავალი წუბობების განხორციელების და შრომის განთავისუფლების სრული იმედი მუშამ გაიხსნა. ამ იმედით დაკარგა ხალისი მონური შრომის, მას გაუჩნდა უნებური სურვილი თავი არავის გადაყვლეფინოს, ამიტომ მას მყვლეველთა საწინააღმდეგო პროტესტი ჩაენერგა სულსა და გულში.

ამნაირად შრომა აუჯანყდა კაპიტალს: ერთი მხრით ცხოვრების მეობებით არაქათ გამოკლიმა, ხოლო მეორე მხრით ყვლეფის წინააღმდეგ აჯანყების სულით გაუღენთილმა მუშამ დაკარგა შრომის ნაყოფიერების ძალა. ამიტომ წარმოება შრომის ნაყოფიერება საოც-

რათ დეცა. ამ სახით 1) სპეკულიაციამ, 2) საწარმოვო ძალების განადგურებამ, 3) საწინდლა სიძვირემ, 4) ქვეყანებ შორის ეკონომიური კავშირის შეწყვეტამ და შრომის ნაყოფიერების საწინდლა დაცემამ კაპიტალიზმი სრულ გაკოტრებამდე მიიყვანა: მისი ეკონომიკა სულერთიანად დაშალ-დაარღვია, კატასტროფული მდგომარეობაში ჩაყენა.

ამის დღეს კაპიტალიზმის ყველა დამცველ-მოჭირისუფლე ჰგრძნობს და თავზარდაცემული ყოველ ზომას ხმარობს, როგორც ეს შობა რღვევა შეაჩეროს მოშლო საძირკველზე როგორც კელლები შეაკოწიწოს.

მაგრამ დიდი ხნიდან ცნობილია, რომ თუ „საძირკველი დანგრეულია, მაშინ კვლეფების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია“!

ასეთ სურათს წარმოადგენს დღევანდელი ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიკა და ამას აღიარებენ თვით ბურჟუაზიის ყველა ჯურის იდეოლოგები.

რ. კ. (შემდეგი ხელ)

ბიულეტენი პრესბიურისი

რ. ს. შ. ს. რ. საჩოგაძეანლოვისა საპრესბიურისი.

(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკავიდან და ბაქოდან).

საბჭოთა რუსეთში

მთამადნებზე მომუშავეთა შრომის დაცვა

მოსკოვი, 5 დეკემ. სრულიად რუსეთის მთამადნებზე მომუშავეთა ცენტრალური კომიტეტი სამთამადნო მრეწველობის რაიონში და ადგილებში მთამადნებზე მომუშავეთა შრომის დაცვის „კვირას“ აწყობს. „კვირას“ გატარების ინსტრუქცია უახლოეს დღეებში იქნება გამოქვეყნებული.

დიდი და აზრიანი შრომა საჭირო. იმის მიქსიპში უნდა გაეკიდეს, რაც შესაძლებელია. სამთამადნო მრეწველობა დამარტყმელი მრეწველობაა, მაგრამ ამ დარგში შრომის დაცვის საქმე სუსტად არის დაყენებული. ენერგიული უნდა შეუდგეთ ამ მხრივ მუშაობას, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ რკოლს მთელი ჯაქვისას ამ შრომის ქვეყანაში. ჩვენ უნდა დავიცვათ პროლეტარიატი და ამიტომ ამ „კვირის“ გატარებაში აქტიური და ნაყოფიერი მონაწილეობა უნდა მივიღოთ.

„იხვეცია“ პოლონეთთან ზავის შესახებ
მოსკოვი, 5 დეკემ. პოლონეთთან დადებულ ზავის შესახებ „იხვეცია“ სწერს: „პოლონეთის პარლამენტში წინასწარ ზავზე მსჯელობის დროს დეპუტატმა გრამსკიმ, ვასტა რა პასხით ნაროდოვცების კრიტიკას, რომლებიც ამბობდნენ, რომ პოლონეთი კოტას იღებს ეკონომიურათ რუსეთთან, სთქვა, რომ პოლონეთისათვის ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქვს და უკანასკნელ მოლაპარაკების შედეგ უფრო ბევრს მიიღებს. აღბათ მეტის მიღების იმედითაა, რომ პოლონეთი დღიდან დროებითა ზავის ჩამოგდებისა არღვეს დროებითი ზავის პირობებს, გვერდს უვლის მათ. პოლონეთმა დღიდან ომის შეწყვეტისა რუსეთთან შეუდგა ყოველგვარ თეთრგვარდენელთა რაზმების დახმარებას, რომლებსაც ანტანტა უსევს საბჭოთა რუსეთს. ამ პოლიტიკას აწარმოებდნენ პოლონეთის ყველა ოფიციალური პარტიები, ნაროდოვცების გარდა, რომლებიც დაეძებნენ ეკონომიურ სარგებლობას და რომლებიც პოლონეთის მთავრობისაგან რიგის ხელშეკრულების სისწორით ასრულებას მოითხოვენ. ვრანგელის დამარცხებამ და ანტანტის აგენტების ბალახოვიჩის, პეტლიურის და კომპანიის ლიკვიდაციამ ფრთა შეკვეცა მათ გვემეს. თუმცა პოლონეთის სამხედრო პარტია პილსუდსკის მეთაურობით 14 ნოემბერს ზავის მოწერის შემდეგაც განაგრძობდა ბალახოვიჩის და პეტლიურის დახმარებას, მაგრამ პოლონეთის მმართველი პარტია მალე იძულებული შეიქნა უფრო მშვიდობიანი პოლიტიკის გეზი აეღო. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, ამ გზით სიარულს ისინი მოლოდ მა-

ნამდის განაგრძობენ, სანამ ვრანგელის, დენიკინის და პეტლიურის ლირსეული მოადგილე არ მოეგონებენ რუსეთის კონტრ-რევოლუციის. ამ არაოფიციალურ ომის დროს პოლონეთის ხალხს სურს სრული მშვიდობიანობა, არ სურს ომი, არც შეუძლია მისი წარმოება.

პოლონეთის სამხედრო პარტია განაგრძობს პოლონეთის ხალხის ფრთობას რუსეთსა და უკრაინის მხრივ მოსალოდნელ საშიშროებით. ეს მათთვის აუკლებელია, რომ გაამართლონ სამხედრო ავანტიურები და შექმნან ხალხში მშფოთვარე განწყობილება, რასაც თავისთავად სამხედრო პარტიის დაძლიერება მოყვება.

ამ მიზნით პოლონეთის გაზეტები ავსებულნი იყუ ცნობებით, ვითომც რუსეთი ემზადებოდეს პოლონეთის წინააღმდეგ ომისთვის და სამხრეთის ფრონტიდან თავის ჯარები დასავლეთ საზღვრებზე გადაყვდეს.

მაგრამ მშფოთვარე მდგომარეობას შექმნა ვერ მოხერხდა. მიიმე ეკონომიური პირობები, დღილილობა განუწყვეტელ ომების გამო და ბოლოს, სრული არეულობა პოლონეთის შინაურ და საგარეო საქმეში აშკარათ უჩვენებს მთელ ხალხს, რომ „ტრავედია შეიქმნა პოლონეთის ცხოვრების თავგადასავალით“. ეს სიტყვები ეკუთვნის არა ჩვენს თანამგონებებს, არამედ ლონდონის ვაზ. „მორინგ პოსტის“ ვარშაველ კორესპონდენტს.

მაგრამ ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელოვანია, რომ პოლონეთის ხალხი თანდათან იგონებს, რომ რუსეთის მშრომელი ხალხი მას კეთილ-მეგობრულათ ეყობა.

მესამე ინტერნაციონალი თავისუფალ საბჭოთა სომხეთზე

მოსკოვი, 6 დეკემ. კომრისტურ ინტერნაციონალის აღმოსავლეთმა კომიტეტმა შემდეგი დეკლარაცია გაუგზავნა საბჭოთა სომხეთის რევოლუციონურ კომიტეტს:

„კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა დიდის აღფრთოვანებით გაიგო სომხეთში საბჭოთა წესწყობილების გამოცხადება. სომხეთის საკითხი პირველად წყდებმა მშრომელ ხალხის სასარგებლოთ.

კომუნისტური ინტერნაციონალი დაგემარებათ თქვენ, ამხანაგებო, ამ მიმე ბრძოლაში.

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს! გაუმარჯოს აღმოსავლეთის ხალხთა განთავისუფლებას!

გაუმარჯოს საბჭოთა ძალა-უფლებას აღმოსავლეთში და მთელ ქვეყანაზე კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე გ. წინაღვივი.

საბჭოთა რუსეთი ადადგენს მომხმეთ მოსკოვი, 5 დეკემ.

რუსეთის საბჭოთა მთავრობამ სომხეთიდან მოსულ ცნობების საბჭოთა მთავრობის გამოცხადების შემდეგ დაუყოვნებლივ დაადგინა, გადასცეს საბჭოთა სომხეთს სადავო ადგილები -- ზანგეზური, ნახიჩევანი და ყარაბაზხი.

(შენიშვნა: თბილისის პრესის ცნობა, ვითომ ეს ადგილები გადაეცათ დონა-კელეების მთავრობისათვის, ტყუილია. (ბეჭ. ბიურ).

მუშები ამერიკიდან

მოსკოვი, 5 დეკემ. ამერიკიდან პეტროგრადში ჩამოვიდნენ ამერიკელი მუშები. მათ განკარგულებაში გადავიდა ერთი ქარხანა.

ტელეფონის მოწყობა სოფლათ.

მოსკოვი, 5 დეკემ. ბალაშოვის მახ რაში, სარატოვის გუბერნიაში, ყველა სოფლებში ეწყობა ტელეფონები.

ხალხი წითელ ყირობს.

მოსკოვი, 5 დეკემ. რესპუბლიკის რევოლუციის თავმჯდომარე ამხ. ტროცკიმ ყირობის რევოლუციონურ კომიტეტისაგან მიიღო ტელეგრაფი, სადაც ყირობის განთავისუფლებულ მუშებისა და გლეხებისაგან გაგზავნილი პირველი მისაღებმა წითელ არმიელების ხელმძღვანელების სახელზე. მთელი ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლების საქმეში წითელი ყირობი გახდება ახალი ძალების წყაროთ. ყირობის მუშები და გლეხები რევოლუციის პირველ დამახებისთავე გამოვლენ მსოფლიო მმარცველების წინააღმდეგ საბრძოლველოთ.

მუშები და გლეხები, რომლებიც განთავისუფლდნენ ვრანგელისა და ინგლის-საფრანგეთის ჯალათების ბრკალებისაგან, მთელ თავის ძალებსა აძლევენ წითელ არმიას. ისინი მზათ არიან ყველაინ დაიხოკონ, ვიდრე კიდევ ზიდონ ოდესმე რუსეთის, და მსაფლიო კონტრევოლუციის მიმე უღედე.

ღარიბ-ღატაკთა კომიტეტები ადერბეიჯანში.

ბაქო, 6 დეკ. შემუშავებულია გეგმა ღარიბთა კომიტეტებში მუშაობის შესახებ.

სომხეთიდან გადმომხვეილები ადერბეიჯანში.

ბაქო, 6 დეკ. შამქორში იმყოფება 30 ათასი კაცი სომხეთიდან გადმომხვეილები. განზარაბულია, რომ მათ დაურიგონ დასამუშავებელი საყენე მიწა. გახსნილია სამს ალაგას სურსათის მისაღები პუნქტები.

კოპებრაცია ადერბეიჯანში.

ბაქო, 6 დეკ. დასრულდა კოპებრაციის წარმომადგენელთა თათბირო. თათბირს დაესწრო 30 კაცი. 1 დეკემბრამდის ლენკორანის ოლქში მოეწყო 25 მომხმარებელი საზოგადოებები, კუბინს-

კის ოლქში მოეწყო—16 და განჯის ოლქში კი—2 სამომხმარებლო საზოგადოებები.

კაპიტალისტური დასავლეთი და საბჭოთა რუსეთი.

მოსკოვი, საბჭოთა რუსეთის ძირითად ამოცანას შეადგენს სახალხო მეურნეობის აღორძინება. მუშების და გლეხების შემწეობით ეწყობა მრეწველობა; შრომის ნაყოფიერება იზრდება. ძალიან უშლის ხელს მრეწველობის აღორძინებას ელექტრონულ და ორთქლის ძალის სისუსტე. დონეცის მაღაროებში დიიკვეთენ ორთქლის ქვაბები, დაძველდა ელექტრონის მოწყობილობა. ომამდის 60 პროც. ელექტრონის მოწყობილობისას რუსეთი ღებულობდა საზღვარ გარეთიდან. მასალების მიღება ჩვენ შეგვიძლია ოქროზე ან საქონელზე გადაცვლით. მაგრამ ჩვენი ოქროს მადნები ცულ მდგომარეობაშია.

გამოსავალი მხოლოდ დასავლეთის კაპიტალისტების მოწვევაშია და ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის მათი შემწეობით დამუშავებაში. ჩრდილოეთში ჩვენ მოგვეპოვება აურაცხელი ტყე და მრავალი ცარიელი მიწები. ამ ადგილების დამუშავება, რომელიც დღეს რუსეთს არ შეუძლია, უნდა გადაეცეს ევროპის კაპიტალისტებს. დასავლეთის კაპიტალისტებმა უნდა დაიცვან საბჭოთა რესპუბლიკის კანონები შრომის დაცვისა, აგრეთვე ისინი ვალდებულნი არიან, რათა იმ ადგილებში, სადაც ისინი იმუშავენ, გააქეთონ ფაბრიკა—ქარხნები და რკინის გზები, რომელსაც შემდეგ გადასცემენ საბჭოთა რუსეთს. საბჭოთა რუსეთი ძლიერია, მან დააპარცხა დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების დამატეხები სამხედრო ფრონტზე, დღეს კი რუსეთის მუშები და გლეხები დაამარცხებენ ბურჟუაზიას შრომის ფრონტზედაც.

განათლება.

მოსკოვი, 6 დეკ. ცარიცინის გუბერნიაში დაბალ სკოლებში სწავლობენ 115,000 ბავშვი.

გამარჯვება შრომის ფრონტზე.

მოსკოვი, 6 დეკ. პოდოლსკში ვახსნეს ორთქლმავლის საშენებელი ქარხანა, რომელშიაც მუშაობს 10,000 მუშა. ქარხნის სრულ მოწყობადის გამოვიდა 50 შეკეთებული ორთქლმავალი.

მთიულეთის საბჭოს საზეიმო სხდომა.

კავკავი, 6 დეკ. მთიულეთის საბჭოს სხდომის დაწყებულბითი ანგარიშები: აიშასრულდება კომიტეტის თავმჯდომარემ კვირკელიამ საბჭოს კრებას ამცნო, რომ სომხეთში ჩამოუკიდოთ დაშნაკელების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობა. ამის შემდეგ სომხეთის კომუნისტურ პარტიის სახელით სიტყვა

საზღვარ-გარეთ

ცხოვრება ადანში.

სტამბოლი, 28 ნოემბ. ადანის ვაზ. „გალიენა“ იუწყება, რომ ცხოვრება ჭალაქში ნორმალურ კოლაობში დგება. ქუჩები მრავალრიცხოვანი ხალხითაა გაქედლი. ადანის მთავარ ქუჩაზე შეხვდებით ავტომობილებსაც, თეატრი და კინომატოგრაფები ღიია.

ცნობები ყარაშუსალიდან.

სტამბოლი, 28 ნოემბ. „სტამბული“ იუწყება:

„წითელი ნახევარ მთავარე“ ყარაშუსალში, რომლის ოლქი სამხედრო მოქმედების დროს განადგურდა, ორ მისიას გზავნის: ერთი მათგანი მიაწოდებს ხალხს სურსათს, მეორე—საქმიო დახმარებას.

პირველი მისია უკვე გაემგზავრა მმოდრავი სამზარეულოთ, მზარეულებით და სხვებით, ამნაირათ იმ ლტოლველთ რომლებიც ყარაშუსალში არიან, სამშობლოში დაბრუნების საშვალეება ეძლევათ. სამკურნალო მისია მოკლე დროში გაემგზავრება სტამბოლიდან.

სახელმწიფო ხარჯები.

სტამბოლი, 28 ნოემბ. „სტამბოლის“ ცნობით საგარეო საქმეთა სამინისტროში დეპარტამენტის დირექტორის სეფე-ბეის თავმჯდომარეობით და ფინანსთა მინისტრის—რაშიდ-ბეის, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის—მუსტაფა არიფ-ბეის და რამდენიმე ბანკის დირექტორების თანხმადსრებით მოხდა თათბირო სესხის ასაღებათ, რომელსაც ოსმალეთის მთავრობა მოითხოვს.

მდგომარეობა სირიაში

ლიონი, 7 დეკემბ. საფრანგეთის კრესერი „ერმეს“ რეჟანი მოვიდა სირიაში 3 დეკემბერს. ქალაქის ახალმა კომუნდანტმა გემის უფროსს ეწვია, როგორც სწავს ევინზელოსკლეუსა და კაროლის

წარმოსთქვა ვარტანანმა. მან ნათელი სურათებით გააცნო კრებას სომხეთის ისტორიული წარსული. გააცნო კრებას, თუ როგორ სტანჯავდნენ სომხეთის მშრომელ ხალხს ხან ოსმალეთის ბეგები, ხან სომხეთის შემამულეები და მეფის მოხელენი. სომხეთის ეხლანდელი ამბები იმის დამამტკიცებელია, რომ სომხის ხალხს შერჩენია ენერჯიკ-ვარტანანმა მოწოდებით მიმართა რუსეთის პროლეტარიატს დახმარება აღმოუჩინონ ახალგაზრდა რესპუბლიკას. თერგოს ოლქის ჯარების პოლიტიკური განყოფილების წარმომადხენელმა სთქვა, რომ წითელი არმია ყოველთვის მზათ არის დაეხმაროს დაჩაგრულბსო. ამხ. კიროვმა აღნიშნა თავის სიტყვაში ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სომხეთში მომხდარ საბჭოთა რევოლუციას. ანტანტა ყოველთვის იმ სოლთან უყრიდა თავს თავის ძალებს, რომელიც (სოლი) იქმნებოდა ამიერ კავკასიის რესპუბლიკების მიერ. მომხდარი ფაქტი—ეს ამიერ კავკასიაში ანტანტის პოლიტიკის დამარცხების პირველი საფეხურია. ვერც ინგლისის მედიკამენტებმა, ვერც ამერიკის პურმა ვერ შეგელა დაღუპვის კარზე მიმდგარ სომხეთს. მხოლოდ მე-3 ინტერნაციონალის ოჯახში შესული სომხეთი დაადგა სწორი გზას და ნახა ამ უმწყო მდგომარეობიდან გამოსავალი. კიროვმა დაათავა თავისი სიტყვა შემდეგით: „გაუმარჯოს სომხის ხალხს.“ კრება ინტერნაციონალის სიმღერით დასრულდა.

სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი.

მოსკოვი, 7 დეკ. თანხმად სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტისა, 1921 წლის 1 იანვრიდან სასურსათო სახალხო კომისარიატის მიერ სახელმწიფოს დაესეშულებების მუშები და მოსამსახურეები სურსათ-სანოვავეს უფასოთ მიიღებენ.

განათლების ფრონტზე.

სარატოვი, 7 დეკ. ატკარის მახრაში კიდევ გახსნეს 46 წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლა. მეტადინგობა დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

მაგალითი.

სარატოვი, 7 დეკ. ბალახოვის მახრის საბჭოს არანგუდრეც ყრილობაზე დაადგინეს, რომ 1 იანვრამდის მოათავონ პულის დაგროვება, მოაწონ კაპიტალური შეკეთება სასოფლო-სამეურნეო იარაღების და სხ.

შორეულ აღმოსავლეთში.

მოსკოვი, 7 დეკ. ატკამნი სემიონოვი იაპონიის გემით გაემგზავრა იაპონიას. შორეულ აღმოსავლეთის თეთრი გვარდიელები განადგურებული არიან.

ბულგარელების ქვეა აზრები.

სტამბოლი, 28 ნოემბერი. „უტონალ დ'ოროინი“ სწერს: სოფიიდან იუწყებიან: ფინანსთა მინისტრმა დიმიტროვმა სიტყვა წარმოთქვა. მან აღნიშნა, რომ საბერძნეთის ცის კიდურზე შავი ღრუბლები იჯგუფებოა. კაროლ კონსტანტინეს ტახტზე დაბრუნება ბალახოვთა ისეთ მდგომარეობას შექმნის, რომელსაც ბოლგარელები გამოიყენებენო. დიმიტროვი ამტკიცებს, რომ სტამბულინსკი ამ საკითხით დაინტერესებულია და ყველა ამბებს მთავრობას ატყობინებსო.

მდგომარეობა სირიაში

ლიონი, 7 დეკემბ. საფრანგეთის კრესერი „ერმეს“ რეჟანი მოვიდა სირიაში 3 დეკემბერს. ქალაქის ახალმა კომუნდანტმა გემის უფროსს ეწვია, როგორც სწავს ევინზელოსკლეუსა და კაროლის



ერთი სიტყვით ისეთი გაჭირვებულ პირობებში არიან ჩაყენებულნი რომ პირდაპირ აუწყრელია. ხაფხულის თევებში შეხედვით ხშირად მონძებში გახეულ ქალებს ზურგზედ აკიდებული სარძევეები სლაროვას ქუჩებში, და ეზოებში რძით მოვაჭრებს, რომ დროზედ მიწოდონ მუხადი დამწეულ შვილებს. ამ არანორმალურმა ცხოვრებამ ბევრი ბავშვს შეიწირა მხევერლად და სიცოცხლის გამოსასალმა. საქმეც იმაშია რომ ასეთი ცხოვრება რამდენიმე თვე აქეთ კოჯორის მუშებს და ზამთარში არც რძე აქეთ და არც სხვა შემოსავალი. იმავე დროს ჯამაგირს იღებენ თითო მოლარე თვეში 50-100 მან. და ერთი მთხარით, ორმოცდა ათ მანეთათ ანდა ას მანეთათ როგორ იტხოვროს როდესაც მას ჰყავს სამი და ზოგს კიდევ მეტი შვილი. ვიცო ისეთი მოლარები, რომელსაც აქეთ თვეში 25 მან. სამი წელიწადი იქნება, რაც კოჯორი გადაკეთებულია ქალაქით. რა თქმა უნდა როდესაც რომელიმე სოფელი ან და ასეთი დღეიღები როგორც კოჯორი და სხვა ლეზულობს ქალაქის სახელს, ნინადგვი უნდა იყოს მომზადებული და თუ ნინადგვი მზათ არის, მაშინ იწყება ყველაფრის აშენება და რაც საჭიროა პირველ ხანებში აუცილებლათ უნდა ჰქონდეს. ქალაქს უნდა ჰქონდეს უფასო სამკურნალო-წამლები, უფასო ექიმი, აფთაპი, ფოსტა, სკოლა და სხვა. და ყველა ამას კოჯორი მოკლებულია. საერთოთ რომ ავიღოთ, კოჯორი არც ქალაქია და არც სოფელი, კოჯორის მუშებს სახნავი ადგილები არა აქვთ, რომ პური მიანც მოიყვანონ, სხვა სურსათიც არ იშვებება და ყოველთვის ყიდვა უხდებათ თბილისში. და ანაირი პირობებში უხდებათ ცხოვრება იმ გაჭირვებულ ხალხს, როგორც არის კოჯორის მუშა. კოჯორის თვითმართველობისგან მუშებს არაფერი მიუღიათ, რაც ქალაქით გადაკეთებულია. წინათ სანამ ქალაქით გადაკეთდებოდა, კიდევ ეძლეოდათ ცოტათი რამ სურსათი და სხვა. დღეს კი ყველა ამას მოკლებულნი არიან კოჯორის მუშები, თვით მართველობა ებრძვის მოლარების კავშირს და ათასნაირ პირობაკაცას ავრცელებს მის წინააღმდეგ და ცდილობს ყოველ ნაბიჯზედ ხელი შეუშალოს. წესის ზეგულში დიდი ბრძოლა გადგება, სადაც შეძლება მოგვეცა შეხვედროდით პირის-პირ გამგობასთან და კოჯორის დაჩის პატრონებთან. სასტიკათ გვებრძოდნენ ყოველივე იმ მოთხოვნებებზედ, რომლებიც ჩვენგან იყო წაყენებული. ეს ბრძოლა კარ-

გათ ახსოვს ი. სიხარულიძეს. ის პატარა ხანი რომელიც მან დაყო კოჯორში მთელი თავისი შრომა მიანდობა კავშირს. მაგრამ დღემდის ბევრი არაფერი გაკეთებულა რადგანაც ამ ბრძოლაში გაცალკევებული ვართ და ვერ გვეხმარებოდნენ თბილისის ამხანაგები. იმედია ამ წერილების შედეგ ვაიგებენ თბილისის ამხანაგები, თუ რა პირობებში ვიმყოფებით ჩვენ და დაგვეხმარებიან ბრძოლაში.

კოჯორის თვითმართველობას რომ ვუყურებთ და იმის იმედი ვიქონიით, სიმშლით ამოგვიწყდება ცოლშვილი.

თვითმართველობა ასე ეხმარება მუშებს. კოჯორს თავის თანამშემრე ა. მეძმარეიშვილი კოჯორის სახელზედ გამოტანილ ნავთს აძლევს სხვას, რომ მან გადაუტვალოს ფაქილზედ და ვინ იცის, თუ რამდენი ანაირი ნავთი და სხვა სანოვაგე-სურსათი კოჯორის სახელზედ გამოტანილი გადაცვილია და გაყიდულა სხვაგან. ნეტავ როდის მოიღებენ ყველა ამას ბოლო? ვინ არის პატრონი, ვის შეუძლიან ჩაკლას ბოროტება იმ სათავეში, საიდანაც იწყება იგი? რა თქმა უნდა ერთ-ერთი ძალაა თბილისის მუშები, რომელთა დახმარებითაც ჩვენ მივალწვეთ მიზანს და თბილისის მუშების დახმარებით ყველა ამას ბოლოს მოვლბთ, რომ ჩადგეს თავის კალაპოტში და იქნეს გაწმენდილი ყველა იმ ელემენტებისგან, რომლებიც მთელ ცხოვრების ჩარხს ასე უკულმა აბრუნებენ.

ახლა ვნახოთ თუ რა გავითა რევოლუციის შემდეგ კოჯორის თვითმართველობაში? უნდა ითქვას სიმართლე, რომ არაფერი ცუდის მეტი არ გაკეთებულა. არსებობს ერთი სკოლა პირველ დაწყებითი, რომელიც არსებობდა ნიკოლოზ-თვითმართვლობის დროიდან, და მოწყობილია ერთის ნარჯით. რა თქმა უნდა, ერთმა იხდიდა ყოველ წელიწადს იმ ხარჯებს, რომელსაც უნდა დაეკმაყოფილებინა შკოლის საჭიროებანი. როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვიცო, იმ ხარჯებში შედის შემის და მოლარეს ხარჯებიც მაგრამ უბედურობაც იმაშია, რომ რაც სკოლა არსებობს, არც მოლარე ჰყოლია და არც შემს მიტანილია ერთობს ხარჯები. კოჯორის მუშების ხარჯზედ ხდებოდა. შემის მიტანაც და მოლარეს მუშობაც. ყველა ამას აქამდე გულგრილათ უყურებდა ხალხი, მაგრამ მოთმინების ფილა იყოს და დაიწყო შეუძლებელი შეიქნა.

თვის და მე გამოვიტანდით. იყო შემთხვევა, ბ. გამგე დღით ერთ-ორ საათს აღებდა დუქანს და მერე ჰკეტავდა, ხალხს ეუბნებოდა, რომ დრო არ არისო. ამავე დროს ის, ბ. გამგე შევალამზედ დუქანს აღებს და „ჩუმათ“ იძლევა საქონელს. რას ნიშნავს ეს თუ არა ხალხის

განუხილავის ცაპას მოღვაწეობის ნიშნის საგონებარეობა

ორშაბათს, 29 ნოემბერს, დასრულდა კოპოპრატელების რწმუნებულთა ყრილობა, რომელიც მრავალ მხრივ შეიქმნა საყურადღებო. სანსაკუთრესი ყურადღება მიზნად ჩვენს ფრაქციის მუშაობაში, რომელიც მწვავე შეხლა-შემოხლით დასრულდა.

ამოზიციამ აქაც თავის თავად, ჩვენს უნებურათ იჩინა თავი. ამოზიციამ აქ საქმიანობის, მიუდგომლობის და საერთო კოოპერატიული ინტერესების დაცვის ნიადაგზე აღმოცენდა. ცეკავიარის გამგეობის თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ ფრაქციის კრებაზე გამოართვა ცხარე კამათი. ორატორების ნაწილმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში ვაატარა გამგეობის წარსული მოქმედება და მრავალ შეწყურებულ დეფექტებზე მიუთითა. იყენეს, რასაკვირველია დამცველებიც. კამათის დასასრულს შეტანილ იქნა სამი რეზოლუცია: პირველი არა დამაკმაყოფილებლათ აღიარებდა გამგეობის მუშაობას; მეორე—დამაკმაყოფილებლათ ხლო მესამე, შორაპნელი ამხანაგებისაგან შემოტანილი, მხოლოდ დეფექტებზე დაპირაკობდა არც იწონებდა, არც იწუნებდა. კრებამ 37 ხმით 75 საერთო ხმებიდან წინააღმდეგ 15, რომელიც დამაკმაყოფილებლათ სცნობდა, და 20, რომელიც ე. წ. შორაპნელ რეზოლუციის ემბრობდა, არა დამაკმაყოფილებლათ აღიარა გამგეობის მუშაობა. ამ დადგენილებას ლოლუკრათ მოსდევდა გამგეობის გადადგომა, მისი ხელახალი არჩენება.

სურათები ჩვენი ცხოვრებიდან

სისხლის სამართლის მილიციაში.

(ნამდვილი ამბავი)

აწერილ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ნოემბრის პირველ რიცხვებში. ვინმე შანიძის ვაჟიურადს თავისი დის ოჯახი და წაუღია 150,000 მანეთად იორბეული სხვა და სხვა ნივთები. შანიძე და შანშულესი გამოტყდა და განაცხადა, რომ ეს ნივთები მან გაყიდა სხვა და სხვა პირობებზე. ნაჭურდალის ნაწილი აღმოჩინდა იქნა. დანარჩენის მოსაძებნათ მილიცია მოითხოვდა შანიძისგან ჩვენებას, თუ ვის მიყიდა აღმოჩენილი ნივთები. შანიძემ ეს ვერ შეძლო ან არ მოისურვა. ამავე დროს მილიციაში მსახურობდა უფროსი აგენტი კალანაძე, შანიძის სკოლის ამხანაგი. კალანაძემ საქმე გაუჩინა. შანიძისთან ერთად წავიდა დეზერტირების მაზარზე, სადაც მინახეს განტყევის ვერძი—მოქალაქე პაპასკირი, რომელიც ფართლელობით ვაჭრობს. შანიძემ მას დაადო ხელი, თითქოს მისთვის მიეყიდა მოპარული სუფრა, 3,500 მანეთად. პაპასკირი დაკავებულ იქნა და მოყვანილი მილიციაში. იგი გადაჭრით აცხადებდა, რომ სუფრა არ უყიდა, თორემ დასაძალი არაფერი აქვს. აგენტმა კალანაძემ შუამავლობას მიმართა და წინააღმდეგა მისი პაპასკირს, რომ საქმე მშვიდობიანად გაათავებდა და მაორიგებდა მას დაზარალბულთან. თუმცა პაპასკირი დამნაშავედ, ე. ი. სუფრის მყიდველად არ სცნობდა თავს, მაგრამ დააბრმავდა, დროს დაკარგავს და წვალებას მილიციაში, არჩია სუფრის ღირებულების გადახდა. კალანაძემ თითქოს დაზარალბულის სახელით სუფრა შეაფასა 50,000 მანეთად. მოლაპარაკების შემდეგ ფულად მეორე დღეს უნდა მიეცა პაპასკირს კალანაძისთვის დაზარალბული სათვის გადასაცემად. ერთი თუ ორი დღის დამატებების შემდეგ პაპასკირი გამოუშვეს. გამოსუშვეს თუ არა, პაპასკირმა გაიფიქრა: ფულს უსამართლოდ მანდევინებენ, არ უნდა მივეცე,

ლალატს? ნუ თუ სასურსათო კომიტეტში ყველა ასეთი პირები სხედან, რომ ფალს ტყავი აძრონ თავიანთი სასარგებლოთ? ნუ თუ ყურადღების ღირსი არა ვართ, რომ ასეთი ვაგებატონები ჩამოშორონ ხალხს?

უფრო უკმაყოფილო იყვნენ ამხ. ეგვ. დარჩიასი, როგორც გამგეობის თავმჯდომარისა.

ფრაქციის პრეზიდიუმმა ცეკას მიმართა და აცნობა ფრაქციის სამივე რეზოლუციას.

სარეკომენდაციო კომისიამ და ფრაქციის პრეზიდიუმმა შეამუშავეს ახალი სია კანდიდატებისა, რომელშიც დარჩია აღარ იყო.

მაგრამ სრულიათ მოულოდნელათ სხეფრივ დატრიალდა საქმე, რომელშიც როგორც ამბობენ, თვით ცეკას ზოგერთი წევრები ჩაერვივნენ, მათი კარნახით ორშაბათს დილით ცალკე ოთახში აშკარათ გაიმართა ერთი ჯგუფის სხდომა.

ამ ჯგუფს ფრაქციამ მოსთხოვა განმარტება. მათ განაცხადეს, რომ ისინი უკმაყოფილონი არიან ფრაქციის დადგენილებით, მოითხოვენ ცეკას წარმომადგენლის საქმეში ჩარევას და უმრავლესობასთან შეთანხმებას. ფრაქციამ დაპგმო მათი ასეთი ნაბიჯი, რომელიც მათ ფრაქციის პრეზიდიუმის დაუკთხავათ, მათ ზურგს უკან გაიდასდგეს.

მაგრამ ცეკას სახელით გაბედულათ მებრძოლმა ორატორებმა შესაფერი შთაბეჭდილება მოახდინეს;

ფრაქციის გადაწყვეტილი გადამოწყვეტინეს;

ამხ. ეგვ. დარჩია დარჩა გამგეობის წევრათ და ალბათ დარჩება ისევ თავმჯდომარეთ რადგან შესაძლებელია, რომ კ. ანდრონიკაშვილი, რომელიც არჩეულია ყრილობის მიერ, დამფ. კრების ს. დ. ფრაქციამ არ განათავისუფლოს სახელმწიფო კანტროლორის მოვალეობი საგან. (ახალი სხივი*).

დევნილი.

ვინაიდან სუფრა არ მიყიდაო. აგენტ კალანაძის მოლოდინში დაპირებულ ფულს—10,000 მან. მისაღებად, პაპასკირმა საქმის ვითარება შეატყობინა უზნის კომისარს და სთხოვა დახმარება. კომისარმა გადასაცემი 10,000 მან. დანიშნა კალანაძის მიერ ფულის აღების ფაქტის დასამტკიცებლად. დილას პაპასკირთან გამოცხადდა კალანაძე და მოსთხოვა ფული და აგრედვე უფასოდ 7 არშინი მატერია, რომელიც მას მიეწონა. აილო თუ არა ეს ფული და მატერია, ცოტა ხნის შემდგომ დატუსაღებულ იქნა კომისარის მიერ და სათანადო ოქმით გადაგზავნილი მილიციის უფროსის განკარგულეაში, ფულს და მატერიის ჩამორთმევით და პატრონისათვის გადაცემით. გამოირკვა, რომ კალანაძეს არავითარი დავალება არ ჰქონია ფულის მიღებაზე დაზარალბულისაგან, ეს ფული მას აუღია ქრთამად.

საღამოზე მილიციის უფროსი ბ.ნი ფაჩულია იბარებს პაპასკირს. უკანასკნელი უკვე მილიციის სამმართველოშია. შესვლისას აგენტები მუქარის კილოთი ჩილაპარაკებენ: ამისთანა თავხედობა და გაცემა მათთან არ გავა. პაპასკირი თხოულობს, შეიყვანონ იგი ბ.ნი ფაჩულიასთან, მაგრამ არ უშვებენ. ამ დროს შემოდის ძალზე მთვრალი აგენტი ობოლაშვილი. სასერიოთ მთვრალ აგენტს დანარჩენი აგენტები უსისინებენ იქ შემთხვევით მოხვედრილ მოქალაქე ვინმე არუთინოვზე, რომელიც უნდა გამოსცადოს და ვითომ სიმართლე ათქმევინოს. ობოლაშვილი ეცემა არუთინოვს, ყელში ჩაავლებს ხელებს და აბრჩობს. აგენტები ხარხარებენ.

შემდეგ ისინი ობოლაშვილს უჩვენებენ პაპასკირზე, რომელსაც იგი მივარდებდა და ათრევს. პაპასკირი თავის დაცვის მიზნით უკან სწევს ობოლაშვილს. უკანასკნელი იძრობს რევოლვერს და ისვრის. ტყვია ასცდება პაპასკირს. იგი ყვირის: მიშველეთ, მიშველეთ; ფაჩულია, ფაჩულია. ბ.ნი ფაჩულია გამოდის და გარემოების გაცნობის შემდეგ ბრძანებს: ერთი თვით დატუსაღება აგენტ ობოლაშვილს, სამი თვით პაპასკირს.

სასურსათო კომიტეტი და მისი გართულება

მსურს მოკლეთ ბღენიშნი თუ როგორ გაწესდებოდა სასურსათო კომიტეტის მიერ შედგენილი მანუფაქტურა და სხვა პირველ ყოვლო საჭირო საგნები კახეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურებზე.

ამას წინეთ, ე. ი. ნოემბრის რიცხვებში კახეთის რკინის გზის ხაზზე იყო გამოგზავნილი სამატარებლო ლუქანი, რომელსაც უნდა დაერეკებინა სასურსათო ბარათების მიხედვით მუშა-მოსამსახურებზე მათი კუთვნილი მანუფაქტურა და სხვა საჭირო საგნები. თუ არ ვცდები, თანახმათ უმთავრეს სასურსათო კომიტეტის დადგენილებას, თითოეულ წევრს ნება ჰქონდა საკონელი მიეღო ნისითა, რომელიც გამორიცხებოდა რამოდენიმე თვის განმავლობაში თავის ჯამაგირიდან. წევრს ნება ჰქონდა გამოეკლანა ნისითა რვა ათასი მან. მანუფაქტურა და აქედან მას უნდა შეეტანა პირველათ ორი ათასი მანეთი, დანარჩენი კი ნისითა. რასაკვირველია მანუფაქტურა იყო სხვა და სხვა ხარისხის, მაღალი და დაბალი და კატეგორიის მიხედვით მას შეეძლო მეტიც გამოეტანა, ხოლო იმას—წევრს უნდა შეეტანა ერთი მესამედი ნაწილათ. ამის შესახებაც იყო დებეშები: „მოდის მანუფაქტურა და ფულს დაიშადალია“. სამატარებლო ლუქანს გამოყვა (გამგე) ცნობილი დლოძი, რომლის წყალობით არა ერთხელ დაკლებია მუშა-მოსამსახურებს თავის კუთვნილი საჭირო საგნები. როგორც ამბობენ ბ. დლოძი ცნობისლი ყოფილა უწინაც, თორემ მას დაუქარეს საკონელზე გადაცვილი ფაქილი, რომელიც მიჰქონდა თავის სასარგებლოთ სამატარებლო

ლუქნით. რაკ ბატონი გამგე უწინაც ცნობილი ყოფილა თავისი საქციელით, რატომ ეხლაც სასურსათო კომიტეტმა იმ პირობებზედ ჩააბარა სახალხო საქმენილო? რატომ ჩააბარა მას მუშა-მოსამსახურების ბედი და იღბალო? სამატარებლო ლუქნიდან თითქმის სანახევროთ არ მიუღიათ მუშა-მოსამსახურებებს თავისი ხვედრი მანუფაქტურა და სხვა საჭირო საგნები. საკითხი ძალაუნებურათ ისმება: ნუ თუ სასურსათო კომიტეტმა არ იცოდა, თუ რამდენი წევრი ყავდა მას? და თუ კი იცოდა წევრების რაოდენობა, რასაკვირველია მანუფაქტურა ყოფილა წევრებთა შორის გაწესრებული იმ დროს, როდესაც წევრებს თავისი ხვედრი მანუფაქტურა სანახევროდაც არ მიუღია. ამა მითხარით, რა მიწა გაუსკდა მანუფაქტურას? (ახვას თავი გვაგანებოთ) ორში ერთი: ან სასურსათო კომიტეტმა დაამახინჯა წევრების სია, ან და სამატარებლო ლუქნის გამგემ „შემთხვევით“ ისარგებლა (ასეთი შემთხვევა მას ბევრჯერ ჰქონია, მარა ის მიანიც თავის ალაგას ღვას და განაგრძობს თავის ხელობას).

სამატარებლო ლუქანში მიდიოდნენ წევრები და კანონიერათ თხოულობდნენ იმ საგნებს, რომელიც ლუქანში იყო და ერგებოდა წევრს. გამგე უარით ისტუმრებდა და ეუბნებოდა: „არ არის, გათავადა“, ეს იმ დროს, როდესაც მას ცალკე ჰქონდა საკონელი შემონახული. გამგე წევრებს თავის ხვედრ საკონელს არ აძლევდა, ხოლო „ჩუმათ“ მის ძმა-ამხანაგებს ურიგებდა საკონელს, მერე ის „ძმა-ამხანაგები“ ტრაბახობდნენ: „მი ყველასფერი მივიღე“-ო, და კერძით, თუ იყავი რომელიმესთან დაახლოვებული ვეტყვი: „კაცო შენ ვერ გამოიტანე, გეიქვა ჩემ-

პაპასკირი მოუყვება თავის სიმართლეს მაგრამ ფაჩულია არ უსმენს. იქნა თუ არა მოყვანილი სისრულეს ეს ბრძანება, ან რა ბედი ეწვია კალანაძეს, ობოლაშვილს და პაპასკირს—ვიცი. ამით ვითავდა ეს სცენა და ჩვენ აქ გავთავოთ ამ კომისარის მოთხოვნა კომენტარიები ზედმეტია. მკითხველ დანიხავს, თუ რამდენათ პატრიცემულ მოქალაქის პიროვნება ჩვენში და ცული მისი უფლებები.

ჩვენი ფოსტა

მოწაფეს. ლექსი „სხივნი“ არ და ბეჭდება.

ნოქალაქველს. „შვი ტალღა“ და დაიბეჭდება.

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი

განცხადება

„ნითალი პარსკვლავი“

- გამოსულია.
1. ვინ არიან კომუნისტები (ბალშვი ბი). ფ. 3 მ.
 2. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ინტენაციონალი მომავლადი და ინტენაციონალი ამომავალი. ფ. 5 მ.
 3. მ. კასპიელი. ვინ სტუდის? ფ. 10 მ.
 4. ნ. ლენინი. ეკონომიკა და პოლიტიკალიტერატურის ლექტურის ნაწი. ფ. 5 მ.
 5. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. რძი სოციალიზმის კრიზისი. ფ. 20 მ.
 6. მ. კასპიელი. ინტერნაციონალი ამის საკითხი. ფ. 15 მ.
 7. პროგრამა რუს. კომ. პარტიისა.
 8. ბუხარინი, პროლეტ. დიქტატურა რსეთში და მსოფლიო რევოლუციი
 9. ნ. გეტტორი. რით ახსნება რუსეთ სოციალისტ. რევოლუციის ადგულად გამარჯვება.
 10. კ. მარქსი და ე. ენგელსი, კომენტ. კომიტეტის მიმართვა კვერისადმი 1850 წ.
- იბეჭდება:
11. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი. კომუნის ანანი.
 12. ზინოვიევი. პარტია და პროფესიული კავშირები.
 13. მინინი. რელიგია და კომუნისმი.
 14. პეტროვიჩი. პროლეტარეზი ყვეყნისა, შვერდილი!
 15. კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში 1870—71 წ.

საქართველოს კომუნისტურ პარტი ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთხოვნილია პასკვირის ქ. № 3, ნეაოვ ს. თული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. 3. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკვირ ქ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. 3. თბილისის კომიტეტის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ სამხინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდა ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. 3. თბ. სპორტული რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ. № 7 ბიურო ღიაა საღ.

ს. კ. 3. თბილისის მეფთხე რაიონ ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ სამხინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდა ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. 3. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ სამხინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და წვერების ჩაწერა და ძველი წვერების რსტრაცია.

ს. კ. 3. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ სამხინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და წვერების ჩაწერა.

ს. კ. 3. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ სამხინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და წვერების ჩაწერა.

ს. კ. 3. თბ. მესამე რაიონის ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.